MAC GEORGIA

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

18 წლის და უფროსი ასაკის ფსიქიკური აშლილობის და ინტელექტუალური განვითარების შეფერხების მქონე და შშმ პირები, რომელთაც აქვთ თავის მოვლისა და კომუნიკაციის ბაზისური უნარ-ჩვევები, შეფასებულნი არიან მულტიგუნდის მიერ, ასევე აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციართა 18 წლამდე ასაკის შვილები, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს;

მინდობით აღზრდიდან, ასევე სხვა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებიდან გადასაყვანი ბენეფიციარები;



ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მკურნალობაზე მყოფი პირები, რომლებიც აღარ საჭიროებენ სტაციონარულ მომსახურებას და ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფარში მყოფი პირები.

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია N IV-100/ა);
- მაძიებლის ერთი ფოტოსურათი (3X4);
- მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;
- თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფა შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:

- » არაუმეტეს 6 ბენეფიციარზე გათვლილი ოჯახური ტიპის საცხოვრებლით უზრუნველყოფას;
- » მომსახურების პიროვნებაზე ორიენტირებული (პერსონა-ცენტრული) გეგმის შედგენასა და ამ გეგმის შესაბამისად ბენეფიციართა მაქსიმალური ფუნქციური დამოუკიდებლობის ხელშემწყობი სხვადასხვა მომსახურებით უზრუნველყოფას;
- » ბენეფიციართა სურვილის გათვალისწინებით სრულფასოვანი კვებით ან საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია ხორციელდებოდეს თავად ბენეფიციართა მიერ;
- » საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზებას;
- » საყოფაცხოვრებო (თვითმოვლის) უნარ-ჩვევების განვითარება-სწავლება და მხარდაჭერა საჭიროებისამებრ;
- » წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობას (ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით ხელობის შერჩევა, სწავლების და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა);
- » ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;
- » საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი სხვადასხვა კულტურული, სპორტული, რეკრეაციული ღონისძიებების განხორციელებას.
- » ბენეფიციართა მომსახურებისგან დამოუკიდებლად ცხოვრების მხარდაჭერისთვის დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას მათი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით;

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურება ფინანსდება 100%-ით

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვევო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დაუკავშირდით ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზს - 111

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1. რომელია პროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციები?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

2. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

3. ვის მივმართო თუ შემიწყდა მომსახურეობა?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

---

4. სად ხდება კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის აღება?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 9025

5.ვის შეიძლება მივმართო თუ სერვისის მიმწოდებელი უარს ამბობს ჩემს მიღებაზე ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურების მიღება?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202